**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

13 მაისი, 2026 წელი

**ბრძანება №01-02/87**

**ბსუ-ს პროფესიული** საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** (მე-3 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** (2025 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე) პროფესიულ სტუდენტთა (2025 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-02/72 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მ.შ.) 2026 წლის 13 მაისის №565643 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,საფინანსო სერვისები“** (მე-3 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** (2025 წლის საშემოდგომო მიღება) შეფასების მიზნით შეიქმნას **შუალედური შეფასების კომისია** და განისაზღვროს **შეფასების ჩატარების დრო და ადგილი**, კერძოდ:

1.1. **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) თათია სეფერთელაძე - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ხელმძღვანელი;

ბ) მარიამ ბოლქვაძე - „ლიბერთი ბანკის“ ბათუმის №117 ფილიალის მოლარე-ოპერატორი (დამსაქმებელი);

გ) თეონა შაქარიშვილი - „ლიბერთი ბანკის“ აჭარის რეგიონალური ფილიალის დირექტორის მოადგილე რითეილ მიმართულებით (დამსაქმებელი);

დ) გიორგი ქავთარაძე - „ლიბერთი ბანკის“ აჭარის რეგიონალური ფილიალის მმართველი (დამსაქმებელი);

1.2. **შუალედური შეფასება ჩატარდეს** 2026 წლის **15 მაისს**, 11:00 საათზე, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, აუდიტორია №305;

2. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე